

დიზაინის სამართლის შესახებ რიადის ხელშეკრულება

მიღებულია რიადში 2024 წლის 22 ნოემბერს

მუხლების ნუსხა

- მუხლი 1 შემოკლებული გამონათქვამები
- მუხლი 2 ზოგადი პრინციპები
- მუხლი 3 განაცხადები და სამრეწველო დიზაინები, რომლებზეც ვრცელდება ეს ხელშეკრულება
- მუხლი 4 განაცხადი
- მუხლი 5 წარმომადგენლები; საქმიანი მიმოწერის მისამართი ან კორესპონდენციის გაგზავნის მისამართი
- მუხლი 6 შეტანის თარიღი
- მუხლი 7 საშეღავათო პერიოდი განაცხადის შეტანისას გამჟღავნების შემთხვევაში
- მუხლი 8 განაცხადის შეტანის მოთხოვნა შემქმნელის სახელით
- მუხლი 9 განაცხადის შესწორება ან დაყოფა, რომელიც მოიცავს ერთზე მეტ სამრეწველო დიზაინს
- მუხლი 10 სამრეწველო დიზაინის გამოქვეყნება
- მუხლი 11 სამრეწველო დიზაინის ელექტრონული სისტემა
- მუხლი 12 ინფორმაციის გადაცემის საშუალებები
- მუხლი 13 განახლება
- მუხლი 14 შეღავათები ვადების შეზღუდვასთან დაკავშირებით
- მუხლი 15 უფლებების აღდგენა ოფისის მიერ სათანადო ზომების მიღების ან დაუდევრობის ფაქტის დადგენის შემდეგ
- მუხლი 16 პრიორიტეტის მოთხოვნის შესწორება ან დამატება; პრიორიტეტის უფლების აღდგენა
- მუხლი 17 ლიცენზიის ან უზრუნველყოფის ინტერესის რეგისტრაციის მოთხოვნა
- მუხლი 18 ლიცენზიის ან უზრუნველყოფის ინტერესის რეგისტრაციის ცვლილების ან გაუქმების მოთხოვნა
- მუხლი 19 ლიცენზიის დაურეგისტრირებლობის შედეგები

- მუხლი 20 ლიცენზიის მითითება
- მუხლი 21 საკუთრების ცვლილების რეგისტრაციის მოთხოვნა
- მუხლი 22 სახელების ან მისამართების შეცვლა
- მუხლი 23 შეცდომის გასწორება
- მუხლი 24 ტექნიკური დახმარება და შესაძლებლობების განვითარება
- მუხლი 25 რეგულაციები
- მუხლი 26 ასამბლეა
- მუხლი 27 საერთაშორისო ბიურო
- მუხლი 28 გადახედვა
- მუხლი 29 ხელშეკრულებაში მონაწილეობა
- მუხლი 30 ძალაში შესვლა; რატიფიცირებისა და შეერთების ძალაში შესვლის თარიღი
- მუხლი 31 დათქმები
- მუხლი 32 ხელშეკრულების დენონსაცია
- მუხლი 33 ხელშეკრულების ენები; ხელმოწერა
- მუხლი 34 დეპოზიტარი

მუხლი 1

შემოკლებული გამოწვევები

ამ ხელშეკრულების მიზნებისთვის, თუ პირდაპირ სხვა რამ არ არის მითითებული:

- (i) „ხელშემკვრელი მხარე“ ნიშნავს ნებისმიერ სახელმწიფოს ან ამ ხელშეკრულების მხარე სამთავრობათაშორისო ორგანიზაციას;
- (ii) „ოფისი“ ნიშნავს ხელშემკვრელი მხარის უწყებას, რომელსაც ევალება სამრეწველო დიზაინების რეგისტრაცია;
- (iii) „რეგისტრაცია“ ნიშნავს სამრეწველო დიზაინის რეგისტრაციას, ან სამრეწველო დიზაინზე პატენტის გაცემას ოფისის მიერ;
- (iv) „განაცხადი“ ნიშნავს განაცხადს რეგისტრაციისთვის;
- (v) „მოქმედი კანონმდებლობა“ ნიშნავს, იმ შემთხვევაში, როდესაც ხელშემკვრელი მხარე არის სახელმწიფო, ამ სახელმწიფოს კანონმდებლობას, ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც ხელშემკვრელი მხარე არის სამთავრობათაშორისო ორგანიზაცია, სამართლებრივ აქტებს, რომელთა საფუძველზეც მოქმედებს ეს სამთავრობათაშორისო ორგანიზაცია;
- (vi) „სამრეწველო დიზაინზე“ მითითება განიმარტება, როგორც მითითება „სამრეწველო დიზაინებზე“, იმ შემთხვევაში, თუ განაცხადი ან რეგისტრაცია მოიცავს ერთზე მეტ სამრეწველო დიზაინს;
- (vii) „პირზე“ მითითება განიმარტება, როგორც მითითება როგორც ფიზიკურ პირზე, ასევე იურიდიულ პირზე;
- (viii) „ოფისში მიმდინარე პროცედურა“ ნიშნავს განაცხადთან ან რეგისტრაციასთან დაკავშირებულ ნებისმიერ საქმისწარმოებას ოფისში;
- (ix) „შეტყობინება“ ნიშნავს ნებისმიერ განაცხადს, ან ნებისმიერ მოთხოვნას, დეკლარაციას, დოკუმენტს, კორექსიონდენციას ან სხვა ინფორმაციას, რომელიც ეხება განაცხადს ან რეგისტრაციას და შეტანილია ოფისში;
- (x) „ოფისის ჩანაწერები“ ნიშნავს ოფისის მიერ უზრუნველყოფილი ინფორმაციის კრებულს, რომელიც ეხება და მოიცავს განაცხადებისა და რეგისტრაციების შინაარსს, მიუხედავად იმისა, რა საშუალებით არის შენახული ეს ინფორმაცია;
- (xi) „განმცხადებელი“ ნიშნავს პირს, რომელიც ოფისის ჩანაწერების მიხედვით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, რეგისტრაციის მომთხოვნ პირად, ან განაცხადის შემტან ან განმახორციელებელ სხვა პირად არის მითითებული;
- (xii) „მფლობელი“ ნიშნავს პირს, რომელიც ოფისის ჩანაწერებში რეგისტრაციის მფლობელად არის მითითებული;

- (xiii) „პარიზის კონვენცია“ ნიშნავს სამრეწველო საკუთრების დაცვის პარიზის კონვენციას, ხელმოწერილს 1883 წლის 20 მარტს, მისი გადასინჯვისა და ცვლილებების გათვალისწინებით;
- (xiv) „ლიცენზია“ ნიშნავს ლიცენზიას სამრეწველო დიზაინის გამოყენებაზე ხელშემკვრელი მხარის კანონმდებლობის შესაბამისად;
- (xv) „ლიცენზიატი“ ნიშნავს პირს, რომელსაც ლიცენზია მიენიჭა;
- (xvi) „რეგულაციები“ ნიშნავს 25-ე მუხლში მითითებულ რეგულაციებს;
- (xvii) „დიპლომატიური კონფერენცია“ ნიშნავს ხელშემკვრელი მხარეების მოწვევას ხელშეკრულების გადასინჯვის მიზნით;
- (xviii) „ასამბლეა“ ნიშნავს 26-ე მუხლში მითითებულ ასამბლევას;
- (xix) „რატიფიცირების დოკუმენტზე“ მითითება განიშარტება როგორც მიღებისა და მოწონების დოკუმენტებზე მითითებების ჩათვლა;
- (xx) „ორგანიზაცია“ ნიშნავს ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციას;
- (xxi) „საერთაშორისო ბიურო“ ნიშნავს ორგანიზაციის საერთაშორისო ბიუროს;
- (xxii) „გენერალური დირექტორი“ ნიშნავს ორგანიზაციის გენერალურ დირექტორს;
- (xxiii) „მუხლზე“ ან მუხლის „პუნქტზე“, „ქვეპუნქტზე“ ან „პარაგრაფზე“ მითითება განიშარტება როგორც მითითება რეგულაციების შესაბამის წეს(ებ)ზე.

მუხლი 2

ზოგადი პრინციპები

- (1) *[სამართლის მატერიალური ნორმების რეგულირების არარსებობა სამრეწველო დიზაინების სფეროში]* ამ ხელშეკრულების ან რეგულაციების არც ერთი დებულება არ უნდა განიშარტოს, როგორც ისეთი რამის განმსაზღვრელი, რომელიც შეზღუდავს ხელშემკვრელი მხარის თავისუფლებას დაადგინოს მისთვის სასურველი მოქმედი მატერიალური სამართლის მოთხოვნები სამრეწველო დიზაინებთან დაკავშირებით.
- (2) *[კავშირი სხვა ხელშეკრულებებთან]* ამ ხელშეკრულების არც ერთი დებულება არ აკნინებს ხელშემკვრელი მხარეების ერთმანეთის მიმართ ნებისმიერი სხვა ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს.
- (3) *[უფრო ხელსაყრელი მოთხოვნები]* ხელშემკვრელი მხარე თავისუფალია დაადგინოს ისეთი მოთხოვნები, რომლებიც, განმცხადებლებისა და მფლობელების თვალსაზრისით, უფრო ხელსაყრელია, ვიდრე ამ ხელშეკრულებითა და რეგულაციებით გათვალისწინებული მოთხოვნები, გარდა მე-6 მუხლისა.

მუხლი 3

განაცხადები და სამრეწველო დიზაინები, რომლებზეც ვრცელდება ეს ხელშეკრულება

- (1) *[განაცხადები]* ეს ხელშეკრულება ვრცელდება ეროვნულ და რეგიონულ განაცხადებზე, რომლებიც შეტანილია ხელშემკვერელი მხარის ოფისში, ან ამ ოფისის მისამართზე.
- (2) *[სამრეწველო დიზაინები]* ეს ხელშეკრულება ვრცელდება სამრეწველო დიზაინებზე, რომლებიც შეიძლება დარეგისტრირდეს როგორც სამრეწველო დიზაინები, ან რომლებზეც შეიძლება გაიცეს პატენტი, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 4

განაცხადი

(1) *[განაცხადის შინაარსი; მოსაკრებელი]*

(a) ხელშემკვერელმა მხარემ შეიძლება მოითხოვოს, რომ განაცხადი შეიცავდეს შემდეგ ყველა ან ზოგიერთ მითითებას ან ელემენტს:

(i) რეგისტრაციის მოთხოვნას;

(ii) განმცხადებლის სახელსა და მისამართს;

(iii) იმ შემთხვევაში, თუ განმცხადებელს ჰყავს წარმომადგენელი, ამ წარმომადგენლის სახელსა და მისამართს;

(iv) იმ შემთხვევაში, თუ 5(3) მუხლით მოთხოვნილია საქმიანი მიმოწერის მისამართი ან კორესპონდენციის გაგზავნის მისამართი, ასეთ მისამართს;

(v) სამრეწველო დიზაინის გამოსახულებას, რეგულაციებით დადგენილი წესით;

(vi) იმ პროდუქტის ან პროდუქტების მითითებას, რომლებშიც ჩართულია სამრეწველო დიზაინი, ან რომლებთან დაკავშირებითაც უნდა იყოს გამოყენებული სამრეწველო დიზაინი;

(vii) იმ შემთხვევაში, თუ განმცხადებელს სურს ისარგებლოს უფრო ადრე შეტანილი განაცხადის პრიორიტეტით, დეკლარაციას, რომელშიც მოთხოვნილია ამ უფრო ადრე შეტანილი განაცხადის პრიორიტეტი, პარიზის კონვენციის მე-4 მუხლის შესაბამისად მოთხოვნილ მითითებებთან და დეკლარაციის დამადასტურებელ მტკიცებულებასთან ერთად;

(viii) იმ შემთხვევაში, თუ განმცხადებელს სურს ისარგებლოს პარიზის კონვენციის მე-11 მუხლით, მტკიცებულებას, რომ პროდუქტი ან პროდუქტები, რომლებშიც ჩართულია სამრეწველო დიზაინი, ან რომლებთან დაკავშირებითაც სამრეწველო დიზაინი უნდა იყოს გამოყენებული, ნაჩვენები იყო ოფიციალურ, ან ოფიციალურად აღიარებულ, საერთაშორისო გამოფენაზე;

(ix) რეგულაციებით დადგენილ ნებისმიერ სხვა მითითებას ან ელემენტს.

(b) განაცხადთან დაკავშირებით შეიძლება მოთხოვნილ იქნეს მოსაკრებლის გადახდა.

(2) *[ინფორმაციის მითითება]* ხელშემკვრელმა მხარემ შეიძლება მოითხოვოს, თუ მოქმედი კანონმდებლობით დაშვებულია, რომ განაცხადი შეიცავდეს მითითებას ნებისმიერ ადრინდელ განაცხადზე ან რეგისტრაციაზე, ან სხვა ინფორმაციაზე, მათ შორის ტრადიციულ კულტურულ გამოხატულებებსა და ტრადიციულ ცოდნაზე, რომელთა შესახებაც განმცხადებელმა იცის და რომლებიც შესაბამისია სამრეწველო დიზაინის რეგისტრაციის დასაშვებობის დასადგენად.

(3) *[სხვა მოთხოვნების აკრძალვა]* განაცხადთან დაკავშირებით დაუშვებელია 1-ელი და მე-2 პუნქტებითა და მე-12 მუხლით გათვალისწინებულის გარდა სხვა მითითების ან ელემენტის მოთხოვნა.

(4) *[რამდენიმე სამრეწველო დიზაინის შემცველი ერთი და იგივე განაცხადი]* იმ პირობების გათვალისწინებით, რომლებიც შეიძლება დადგინდეს მოქმედი კანონმდებლობით, განაცხადი შეიძლება მოიცავდეს ერთზე მეტ სამრეწველო დიზაინს.

(5) *[მტკიცებულება]* ხელშემკვრელმა მხარემ შეიძლება მოითხოვოს მტკიცებულების წარდგენა თავის ოფისში იმ შემთხვევაში, თუ განაცხადის განხილვის პროცესში, მას საფუძვლიანი ეჭვი შეეპარა განაცხადში მოცემული რომელიმე მითითების ან ელემენტის სისწორეში.

მუხლი 5

წარმომადგენლები; საქმიანი მიმოწერის მისამართი ან შეტყობინებების გაგზავნის მისამართი

(1) *[პრაქტიკის უფლების მქონე წარმომადგენლები]*

(a) ხელშემკვრელმა მხარემ შეიძლება მოითხოვოს, რომ ოფისში ნებისმიერი პროცედურის წარმართვის მიზნით დანიშნულ წარმომადგენელს:

(i) ჰქონდეს მოქმედი კანონმდებლობით ოფისში განაცხადებთან და რეგისტრაციებთან დაკავშირებით საქმეთა წარმართვის უფლება;

(ii) შეეძლოს წარადგინოს თავის მისამართად ხელშემკვრელი მხარის მიერ განსაზღვრულ ტერიტორიაზე მდებარე მისამართი.

(b) ოფისში წარმომადგენლის მიერ ან წარმომადგენლის მიმართ განხორციელებულ ქმედებას ნებისმიერ პროცედურასთან დაკავშირებით, რომელიც შეესაბამება ხელშემკვრელი მხარის მიერ (a) ქვეპუნქტით დადგენილ მოთხოვნებს, ექნება იგივე შედეგი, რაც განმცხადებლის, მფლობელის ან სხვა დაინტერესებული პირის მიერ ან მის მიმართ განხორციელებულ ქმედებას, რომელმაც ეს წარმომადგენელი დანიშნა.

(2) *[სავალდებულო წარმომადგენლობა]*

(a) (b) ქვეპუნქტის გათვალისწინებით, ხელშემკვრელმა მხარემ შეიძლება მოითხოვოს, რომ ოფისში ნებისმიერი პროცედურის წარმართვის მიზნით, განმცხადებელმა, მფლობელმა ან სხვა დაინტერესებულმა პირმა, რომელიც მის ტერიტორიაზე არ ცხოვრობს და არც რეალური და ეფექტური სამრეწველო ან კომერციული დაწესებულება გააჩნია, დანიშნოს წარმომადგენელი.

(b) განმცხადებელს, მფლობელს ან სხვა დაინტერესებულ პირს, რომელიც ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე არ ცხოვრობს და არც რეალური და ეფექტური სამრეწველო ან კომერციული დაწესებულება გააჩნია, შეუძლია თავად იმოქმედოს ოფისში განაცხადის შეტანის, შეტანის თარიღის დადგენისა და ჩვეულებრივი მოსაკრებლის გადახდის მიზნებით.

(3) *[საქმიანი მიმოწერის მისამართი ან შეტყობინებების გაგზავნის მისამართი]* ხელშემკვრელმა მხარემ, იმდენად, რამდენადაც იგი არ ითხოვს წარმომადგენლობას მე-2 პუნქტის შესაბამისად, შეიძლება მოითხოვოს, ოფისში ნებისმიერი პროცედურის წარმართვის მიზნით, რომ განმცხადებელს, მფლობელს ან სხვა დაინტერესებულ პირს, რომელიც მის ტერიტორიაზე არ ცხოვრობს და არც რეალური და ეფექტური სამრეწველო ან კომერციული დაწესებულება გააჩნია, ჰქონდეს საქმიანი მიმოწერის მისამართი ან შეტყობინებების გაგზავნის მისამართი ხელშემკვრელი მხარის მიერ განსაზღვრულ ტერიტორიაზე.

(4) *[წარმომადგენლის დანიშვნა]* ხელშემკვრელი მხარე უშვებს, რომ წარმომადგენლის დანიშვნა ხორციელდება ოფისის მეშვეობით რეგულაციებით დადგენილი წესით.

(5) *[სხვა მოთხოვნების აკრძალვა]* მე-12 მუხლის მოთხოვნების გათვალისწინებით, არც ერთ ხელშემკვრელ მხარეს არ შეუძლია მოითხოვოს, რომ (1)-(4) პუნქტებში მითითებულის გარდა სხვა მოთხოვნები შესრულდეს ამ პუნქტებით გათვალისწინებულ საკითხებთან დაკავშირებით.

(6) *[შეტყობინება]* იმ შემთხვევაში, თუ ხელშემკვრელი მხარის მიერ (1)-(4) პუნქტებით გამოყენებული ერთი ან მეტი მოთხოვნა არ არის შესრულებული, ოფისი შესაბამის ინფორმაციას აწვდის განმცხადებელს, მფლობელს ან სხვა დაინტერესებულ პირს, აძლევს რა შესაძლებლობას შეასრულოს ნებისმიერი ასეთი მოთხოვნა რეგულაციებით დადგენილ ვადაში.

(7) *[მოთხოვნების შესრულებლობა]* იმ შემთხვევაში, თუ ხელშემკვრელი მხარის მიერ (1)-(4) პუნქტებით გამოყენებული ერთი ან მეტი მოთხოვნა არ არის შესრულებული რეგულაციებით დადგენილ ვადაში, ხელშემკვრელმა მხარემ შეიძლება მიმართოს სანქციას, რომელიც გათვალისწინებულია მის კანონმდებლობაში.

მუხლი 6

შეტანის თარიღი

(1) *[ნებადართული მოთხოვნები]*

(a) (b) ქვეპუნქტისა და მე-2 პუნქტის გათვალისწინებით, ხელშემკვრელი მხარე ადგენს განაცხადის შეტანის თარიღად იმ თარიღს, როდესაც ოფისი მიიღებს შემდეგ მითითებებსა და ელემენტებს ოფისის მიერ დაშვებულ ენაზე:

(i) პირდაპირ ან არაპირდაპირ მითითებას იმის შესახებ, რომ ელემენტები განკუთვნილია განაცხადისთვის;

(ii) მითითებებს, რომლებიც საშუალებას იძლევა დადგინდეს განმცხადებლის ვინაობა;

(iii) სამრეწველო დიზაინის საკმარისად მკაფიო გამოსახულებას;

(iv) მითითებებს, რომლებიც განმცხადებელთან ან განმცხადებლის წარმომადგენელთან, ასეთის არსებობის შემთხვევაში, დაკავშირების საშუალებას იძლევა.

(b) ხელშემკვრელ მხარეს შეუძლია განაცხადის შეტანის თარიღად დაადგინოს თარიღი, როდესაც ოფისი მიიღებს, სამრეწველო დიზაინის საკმარისად მკაფიო გამოსახულებასა და განმცხადებლის ვინაობის დადგენის ან განმცხადებელთან ან განმცხადებლის წარმომადგენელთან (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დაკავშირების შესახებ მითითებებთან ერთად, მხოლოდ (a) ქვეპუნქტში ჩამოთვლილ სხვა მითითებებსა და ელემენტებს არა სრულად, არამედ ნაწილობრივ, ან მიიღებს მათ ოფისის მიერ დაშვებული ენის გარდა სხვა ენაზე.

(2) *[ნებადართული დამატებითი მოთხოვნები]*

(a) ხელშემკვრელ მხარეს, რომლის კანონმდებლობაც ამ ხელშეკრულების მხარედ გახდომის დროს მოითხოვს, რომ განაცხადი შეესაბამებოდეს (b) ქვეპუნქტში მითითებულ რომელიმე მოთხოვნას, რათა დადგინდეს ამ განაცხადის შეტანის თარიღი, შეუძლია დეკლარაციით შეატყობინოს გენერალურ დირექტორს ამ მოთხოვნების შესახებ.

(b) შეტყობინება (a) ქვეპუნქტის შესაბამისად შეიძლება გაიგზავნოს შემდეგ მოთხოვნებთან დაკავშირებით:

(i) იმ პროდუქტის ან პროდუქტების მითითება, რომლებშიც ჩართულია სამრეწველო დიზაინი, ან რომლებთან დაკავშირებითაც სამრეწველო დიზაინი უნდა იყოს გამოყენებული;

(ii) რეპროდუქციის ან სამრეწველო დიზაინის დამახასიათებელი ნიშნების მოკლე აღწერა;

(iii) პრეტენზია;

(iv) მოთხოვნილი მოსაკრებლების გადახდა;

(v) სამრეწველო დიზაინის შემქმნელის ვინაობის შესახებ მითითებები.

(c) (a) ქვეპუნქტით წარდგენილი ნებისმიერი განაცხადების გაუქმება შესაძლებელია ნებისმიერ დროს.

(3) *[სხვა მოთხოვნების აკრძალვა]* განაცხადისთვის შეტანის თარიღის დადგენის მიზნით, დაუშვებელია (1)(a) და (2)(b) პუნქტებში მითითებულის გარდა სხვა მითითების ან ელემენტის მოთხოვნა.

(4) *[შეტყობინება და ვადები]* იმ შემთხვევაში, თუ განაცხადი, ოფისის მიერ მისი მიღების დროისთვის, არ შეესაბამება (1) და (2)(b) პუნქტებით გათვალისწინებულ ერთ ან მეტ მოქმედ მოთხოვნას, ოფისი შეტყობინებას უგზავნის განმცხადებელს და აძლევს შესაძლებლობას შეასრულოს ასეთი მოთხოვნები რეგულაციებით დადგენილ ვადაში.

(5) *[შეტანის თარიღი მოთხოვნების მოგვიანებით შესრულების შემთხვევაში]* თუ განმცხადებელი მე-4 პუნქტში მითითებულ ვადაში შეასრულებს მოქმედ მოთხოვნებს, შეტანის თარიღი უნდა იყოს არაუგვიანესი თარიღისა, როდესაც ოფისი მიიღებს ხელშემკვრელი მხარის მიერ (1) და (2)(b) პუნქტებით მოთხოვნილ ყველა მითითებასა და ელემენტს. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩაითვლება, რომ განაცხადი არ შეტანილა.

მუხლი 7

საშელავათო პერიოდი განაცხადის შეტანისას გამყლავნების შემთხვევაში

სამრეწველო დიზაინის შესახებ მონაცემების გამყლავნებამ განაცხადის შეტანის თარიღამდე ან თუ პრიორიტეტი მოთხოვნილია, პრიორიტეტის თარიღამდე 12-თვიან პერიოდში არ უნდა მიაყენოს ზიანი სამრეწველო დიზაინის სიახლეს და/ან ორიგინალობას, და გარემოებებიდან გამომდინარე, ინდივიდუალურ ბუნებას ან სიცხადეს, თუ ეს გამყლავნება განხორციელდა:

(i) შემქმნელის ან მისი უფლებამონაცვლის მიერ; ან

(ii) პირის მიერ, რომელმაც გამყლავნებული ინფორმაცია პირდაპირ ან არაპირდაპირ, მათ შორის ბოროტად გამოყენების შედეგად, მოიპოვა შემქმნელისგან ან მისი უფლებამონაცვლისგან.

მუხლი 8

განაცხადის შეტანის მოთხოვნა შემქმნელის სახელით

(1) *[განაცხადის შეტანის მოთხოვნა შემქმნელის სახელით]* ხელშემკვრელმა მხარემ შეიძლება მოითხოვოს, რომ განაცხადი შეტანილ იქნეს სამრეწველო დიზაინის შემქმნელის სახელით.

(2) *[ფორმალობა იმ შემთხვევაში, როდესაც მოთხოვნილია განაცხადის შეტანა შემქმნელის სახელით]* იმ შემთხვევაში, თუ ხელშემკვრელი მხარე მოითხოვს, რომ განაცხადი შეტანილ იქნეს სამრეწველო დიზაინის შემქმნელის სახელით, ასეთი მოთხოვნა დაკმაყოფილდება, თუ სამრეწველო დიზაინის შემქმნელის სახელი მითითებულია, როგორც ასეთი, განაცხადში, და:

(i) ეს სახელი შეესაბამება განმცხადებლის სახელს; ან

(ii) განაცხადს თან ერთვის, ან ის შეიცავს განცხადებას შემქმნელისგან განმცხადებელზე უფლების გადაცემის შესახებ, ხელმოწერილს სამრეწველო დიზაინის შემქმნელის მიერ.

მუხლი 9

განაცხადის შესწორება ან დაყოფა, რომელიც მოიცავს ერთზე მეტ სამრეწველო დიზაინს

(1) *[განაცხადის შესწორება ან დაყოფა]* თუ განაცხადი, რომელიც მოიცავს ერთზე მეტ სამრეწველო დიზაინს (შემდგომში „საწყისი განაცხადი“), არ შეესაბამება შესაბამისი ხელშემკვრელი მხარის მიერ მე-4 მუხლის (4) პუნქტის შესაბამისად დადგენილ პირობებს, ოფისმა შეიძლება მოსთხოვოს განმცხადებელს, განმცხადებლის არჩევანით, ან:

(i) შეასწოროს საწყისი განაცხადი, რათა შეესაბამებოდეს ამ პირობებს; ან

(ii) დაყოს საწყისი განაცხადი ორ ან მეტ გამოყოფილ განაცხადად, რომლებიც პასუხობენ ამ პირობებს, ამ განაცხადებს შორის სამრეწველო დიზაინების განაწილებით, რომელთა დაცვა იყო მოთხოვნილი საწყის განაცხადში.

(2) მოქმედი კანონმდებლობით დაშვების შემთხვევაში, განმცხადებელს შეუძლია, ასევე, საკუთარი ინიციატივით, დაყოს განაცხადი ორ ან მეტ გამოყოფილ განაცხადად.

(3) *[გამოყოფილი განაცხადების შეტანის თარიღი და პრიორიტეტის უფლება]* გამოყოფილი განაცხადები ინარჩუნებენ საწყისი განაცხადის შეტანის თარიღს და პრიორიტეტის მოთხოვნის უპირატესობას, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

(4) *[მოსაკრებლები]* განაცხადის დაყოფა შეიძლება დაექვემდებაროს მოსაკრებლების გადახდას.

მუხლი 10

სამრეწველო დიზაინის გამოუქვეყნება

(1) *[სამრეწველო დიზაინის გამოუქვეყნებლად შენარჩუნება]* ხელშემკვრელი მხარე უშვებს სამრეწველო დიზაინის გამოუქვეყნებლად შენარჩუნებას საკუთარი მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ვადით, რეგულაციებით დადგენილი მინიმალური ვადის გათვალისწინებით.

(2) *[სამრეწველო დიზაინის გამოუქვეყნებლად შენარჩუნების მოთხოვნა; მოსაკრებელი]*

(a) ხელშემკვრელმა მხარემ შეიძლება მოითხოვოს, რომ 1-ელი პუნქტით გათვალისწინებულ სამრეწველო დიზაინის გამოუქვეყნებლად შენარჩუნების მიზნით, განმცხადებელმა მოთხოვნით მიმართოს ოფისს.

(b) (a) ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამრეწველო დიზაინის გამოუქვეყნებლად შენარჩუნების მოთხოვნასთან დაკავშირებით, ოფისმა შეიძლება მოითხოვოს მოსაკრებლის გადახდა.

(3) *[გამოქვეყნების მოთხოვნა სამრეწველო დიზაინის გამოუქვეყნებლობის მოთხოვნით მიმართვის შემდეგ]* იმ შემთხვევაში, თუ სამრეწველო დიზაინის გამოუქვეყნებლობის მოთხოვნა შეტანილია (2)(a) პუნქტის შესაბამისად, განმცხადებელს ან მფლობელს, გარემოებებიდან გამომდინარე, შეუძლია, 1-ელი პუნქტით გათვალისწინებული ვადის ნებისმიერ დროს მოითხოვოს სამრეწველო დიზაინის გამოქვეყნება.

მუხლი 11

სამრეწველო დიზაინის ელექტრონული სისტემა

ხელშემკვრელმა მხარემ, საკუთარი მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, უნდა უზრუნველყოს ელექტრონული სისტემა განაცხადებისთვის და პირობები პრიორიტეტის დოკუმენტების ელექტრონული გაცვლისთვის.

მუხლი 12

ინფორმაციის გადაცემის საშუალებები

(1) *[ინფორმაციის გადაცემის საშუალებები და ფორმა]* ხელშემკვრელ მხარეს შეუძლია თვითონ აირჩიოს ინფორმაციის გადაცემის საშუალებები და გადაწყვიტოს, ინფორმაცია მიიღოს ქალაქში, ელექტრონულად, თუ ნებისმიერი სხვა ფორმით.

(2) *[შეტყობინების ენა]*

(a) ხელშემკვრელმა მხარემ შეიძლება მოითხოვოს, რომ ნებისმიერი შეტყობინება შესრულდეს ოფისის მიერ დაშვებულ ენაზე.

(b) ხელშემკვრელმა მხარემ შეიძლება მოითხოვოს, რომ თუ შეტყობინება არ არის შესრულებული მისი ოფისის მიერ დაშვებულ ენაზე, წარდგენილ იქნეს ამ შეტყობინების თარგმანი ოფიციალური თარგმანის ან წარმომადგენლის მიერ, ოფისის მიერ დაშვებულ ენაზე, გონივრულ ვადაში.

(c) არც ერთ ხელშემკვრელ მხარეს არ შეუძლია მოითხოვოს შეტყობინების ნებისმიერი თარგმანის დამოწმება, ნოტარიული დადასტურება, ავთენტიფიკაცია, ლეგალიზაცია ან სხვა ნებისმიერი სახის დამოწმება, გარდა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

(d) (c) ქვეპუნქტის მიუხედავად, ხელშემკვრელმა მხარემ შეიძლება მოითხოვოს, რომ შეტყობინების ნებისმიერ თარგმანს თან ერთვის განცხადება, რომ თარგმანი არის სწორი და ზუსტი.

(3) *[საქმიანი მიმოწერის მისამართი, შეტყობინებების გაგზავნის მისამართი და საკონტაქტო მონაცემები]* ხელშემკვრელმა მხარემ შეიძლება, რეგულაციებით გათვალისწინებული ნებისმიერი დებულების გათვალისწინებით, მოითხოვოს, რომ განმცხადებელმა, მფლობელმა ან სხვა დაინტერესებულმა პირმა, ნებისმიერ შეტყობინებაში მიუთითოს:

(i) შეტყობინების გაგზავნის მისამართი;

(ii) საქმიანი მიმოწერის მისამართი;

(iii) რეგულაციებით გათვალისწინებული ნებისმიერი სხვა მისამართი ან საკონტაქტო მონაცემები.

(4) *[შეტყობინების ხელმოწერა ქალაქდზე]*

(a) ხელშემკვრელმა მხარემ შეიძლება მოითხოვოს, რომ ქალაქდზე დაწერილი და წარდგენილი შეტყობინება ხელმოწერილი იყოს განმცხადებლის, მფლობელის ან სხვა დაინტერესებული პირის მიერ. თუ ხელშემკვრელი მხარე მოითხოვს ქალაქდზე დაწერილი და წარდგენილი შეტყობინების ხელმოწერას, ეს ხელშემკვრელი მხარე უშვებს ნებისმიერ ხელმოწერას, რომელიც პასუხობს რეგულაციებით დადგენილ მოთხოვნებს.

(b) არც ერთ ხელშემკვრელ მხარეს არ შეუძლია მოითხოვოს ნებისმიერი ხელმოწერის დამოწმება, ნოტარიული დადასტურება, ავთენტიფიკაცია, ლეგალიზაცია ან სხვა სახის დამოწმება, გარდა ნებისმიერი კვაზი-სასამართლო წარმოების შემთხვევებისა ან რეგულაციებით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

(c) (b) ქვეპუნქტის მიუხედავად, ხელშემკვრელმა მხარემ შეიძლება მოითხოვოს მტკიცებულების წარდგენა ოფისში იმ შემთხვევაში, თუ ოფისს საფუძვლიანი ეჭვი ეპარება ქალაქდზე წარდგენილი შეტყობინების ნებისმიერი ხელმოწერის ავთენტურობაში.

(5) *[ელექტრონული ფორმით ან ელექტრონული გადაცემის საშუალებით შეტანილი შეტყობინებები]* თუ ხელშემკვრელი მხარის მიერ ნებადართულია შეტყობინებების ელექტრონული ფორმით ან ელექტრონული გადაცემის საშუალებით შეტანა, მას შეუძლია მოითხოვოს, რომ ნებისმიერი ასეთი შეტყობინება შეესაბამებოდეს რეგულაციებით დადგენილ მოთხოვნებს.

(6) *[სხვა მოთხოვნების აკრძალვა]* არც ერთ ხელშემკვრელ მხარეს არ შეუძლია მოითხოვოს, რომ (1)-(5) პუნქტებთან დაკავშირებით შესრულდეს ამ მუხლში მითითებულის გარდა სხვა მოთხოვნები.

(7) *[მითითებები შეტყობინებებში]* ხელშემკვრელმა მხარემ შეიძლება მოითხოვოს, რომ ნებისმიერი შეტყობინება შეიცავდეს რეგულაციებით დადგენილ ერთ ან მეტ მითითებას.

(8) *[წარმომადგენელთან დაკავშირების საშუალებები]* ამ მუხლის არც ერთი დებულებით არ რეგულირდება განმცხადებელს, მფლობელს ან სხვა დაინტერესებულ პირსა და ასეთი პირის წარმომადგენელს შორის დაკავშირების საშუალებები.

მუხლი 13

განახლება

(1) *[განახლების მოთხოვნა; მოსაკრებელი]*

(a) იმ შემთხვევაში, თუ ხელშემკვრელი მხარე ითვალისწინებს დაცვის ვადის განახლებას, მას შეუძლია მოითხოვოს, რომ განახლება დაექვემდებაროს მოთხოვნის შეტანას და მასში შემდეგი მითითებების ასახვას სრულად ან ნაწილობრივ:

(i) მითითება იმის შესახებ, რომ მოთხოვნილია განახლება;

(ii) მფლობელის სახელი და მისამართი;

(iii) რეგისტრაციის ნომერ(ებ)ი, რომელთა მიმართ მოთხოვნილია განახლება;

(iv) დაცვის ვადის მითითება, რომლითაც მოითხოვება განახლება;

(v) იმ შემთხვევაში, თუ მფლობელს ჰყავს წარმომადგენელი, ამ წარმომადგენლის სახელი და მისამართი;

(vi) იმ შემთხვევაში, თუ მფლობელს აქვს საქმიანი მიმოწერის მისამართი ან შეტყობინებების გაგზავნის მისამართი, - ასეთი მისამართი;

(vii) იმ შემთხვევაში, თუ განახლება დაშვებულია რეგისტრაციაში გატარებული მხოლოდ ზოგიერთი სამრეწველო დიზაინისათვის, და ასეთი განახლება მოთხოვნილია, იმ სამრეწველო დიზაინის ნომერ(ებ)ის მითითება, რომლისთვისაც მოთხოვნილია, ან არ არის მოთხოვნილი, განახლება;

(viii) იმ შემთხვევაში, თუ დაშვებულია, რომ განახლების მოთხოვნა შეტანილ იქნეს მფლობელის ან მისი წარმომადგენლის გარდა სხვა პირის მიერ, და მოთხოვნა შეტანილია ასეთი პირის მიერ - ამ პირის სახელი და მისამართი.

(b) ხელშემკვრელმა მხარემ შეიძლება მოითხოვოს თავისი ოფისისთვის მოსაკრებლის გადახდა განახლებასთან დაკავშირებით.

(2) *[განახლების მოთხოვნის წარდგენისა და მოსაკრებლის გადახდის ვადა]* ხელშემკვრელმა მხარემ შეიძლება მოითხოვოს, რომ (1)(a) პუნქტში მითითებული განახლების მოთხოვნა წარდგენილ იქნეს და შესაბამისი (1)(b) პუნქტში მითითებული მოსაკრებელი გადახდილ იქნეს თავისი ოფისისთვის ხელშემკვრელი მხარის კანონმდებლობით დადგენილ ვადაში, რეგულაციებით დადგენილი მინიმალური ვადების გათვალისწინებით.

(3) *[სხვა მოთხოვნების აკრძალვა]* არც ერთ ხელშემკვრელ მხარეს არ შეუძლია მოითხოვოს, რომ 1-ელ და მე-2 პუნქტებში და მე-12 მუხლში მითითებულის გარდა სხვა მოთხოვნები შესრულდეს განახლების მოთხოვნასთან დაკავშირებით.

მუხლი 14

შეღვათები ვადების შეზღუდვასთან დაკავშირებით

(1) *[ვადების გაგრძელება]* ხელშემკვრელი მხარე უზრუნველყოფს ოფისში პროცედურული რაიმე ქმედების განხორციელებისას ოფისის მიერ დადგენილი ვადის გაგრძელებას რეგულაციებით დადგენილი ვადით, თუ ამ მიზნით მოთხოვნა შეტანილია ოფისში რეგულაციებით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად, და მოთხოვნა შეტანილია ხელშემკვრელი მხარის არჩევანით:

(i) ვადის გასვლამდე; ან

(ii) ვადის გასვლის შემდეგ, თუმცა რეგულაციებით დადგენილ ვადაში.

(2) *[საქმისწარმოების გაგრძელება]* იმ შემთხვევაში, თუ განმცხადებელი ან მფლობელი დაარღვევს ხელშემკვრელი მხარის ოფისის მიერ დადგენილ ვადას ოფისის ფარგლებში წარმოებული პროცედურული ქმედებისთვის, და ეს ხელშემკვრელი მხარე არ ითვალისწინებს ვადის გაგრძელებას 1-ელი პუნქტის შესაბამისად, ხელშემკვრელი მხარე უზრუნველყოფს განაცხადთან ან რეგისტრაციასთან დაკავშირებით საქმის წარმოების გაგრძელებას, და საჭიროების შემთხვევაში, განმცხადებლის ან მფლობელის უფლებების აღდგენას ამ განაცხადთან ან რეგისტრაციასთან დაკავშირებით, თუ:

(i) მოთხოვნა ამ მიზნით არის შეტანილი ოფისში რეგულაციებით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად;

(ii) მოთხოვნა შეტანილია და ყველა მოთხოვნა, დადგენილი აღნიშნული ქმედებისთვის, რომელზეც ვრცელდებოდა ვადა, შესრულებულია რეგულაციებით დადგენილ ვადაში.

(3) *[გამონაკლისები]* რეგულაციებით გათვალისწინებულ გამონაკლისებთან დაკავშირებით, არ მოითხოვება ვადების გაგრძელების გათვალისწინება 1-ელი პუნქტის შესაბამისად ან საქმის წარმოების გაგრძელება მე-2 პუნქტის შესაბამისად.

(4) *[მოსაკრებლები]* ხელშემკვრელმა მხარემ შეიძლება მოითხოვოს მოსაკრებლის გადახდა 1-ელი ან მე-2 პუნქტებით გათვალისწინებულ მოთხოვნასთან დაკავშირებით.

(5) *[სხვა მოთხოვნების აკრძალვა]* არც ერთ ხელშემკვრელ მხარეს არ შეუძლია მოითხოვოს, რომ (1)-(4) პუნქტებში მითითებულის გარდა სხვა მოთხოვნები შესრულდეს 1-ელი ან მე-2 პუნქტებით გათვალისწინებულ შეღვათებთან დაკავშირებით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სხვა რამ არის გათვალისწინებული ამ ხელშეკრულებით ან დადგენილი რეგულაციებით.

(6) *[წერილობითი შენიშვნების წარდგენის შესაძლებლობა სავარაუდო უარის შემთხვევაში]* 1-ელი ან მე-2 პუნქტებით გათვალისწინებული მოთხოვნის უარყოფა არ შეიძლება, თუ განმცხადებელს ან მფლობელს არ მიეცემა შესაძლებლობა, გონივრულ ვადაში წარადგინოს წერილობითი შენიშვნები სავარაუდო უარზე.

მუხლი 15

უფლებების აღდგენა ოფისის მიერ სათანადო ზომების მიღების ან დაუდევრობის ფაქტის დადგენის შემდეგ

- (1) *[უფლებების აღდგენა]* თუ ხელშემკვრელი მხარე არ ითვალისწინებს შეღავათებს მე-14 მუხლის (1)(ii) ან მე-14 მუხლის მე-2 პუნქტების შესაბამისად, ოფისი აღადგენს განმცხადებლის ან მფლობელის უფლებებს ამ განაცხადთან ან რეგისტრაციასთან დაკავშირებით იმ შემთხვევაში, თუ განმცხადებელი ან მფლობელი ვერ დაიცავს ოფისის ფარგლებში პროცედურული ქმედების წარმოებისთვის დადგენილ ვადას, ასევე თუ ამ ვადის დაუცველობას პირდაპირ მოჰყვება განაცხადთან ან რეგისტრაციასთან დაკავშირებული უფლებების დაკარგვა, იმ პირობით, თუ:
- (i) ასეთი მოთხოვნა შეტანილია ოფისში რეგულაციებით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად;
 - (ii) მოთხოვნა შეტანილია და რეგულაციებით დადგენილ ვადაში შესრულებულია ყველა მოთხოვნა აღნიშნული ქმედებისთვის, რომელზეც ვრცელდება ვადა;
 - (iii) მოთხოვნაში მითითებულია ვადის შეუსრულებლობის მიზეზები; და
 - (iv) ოფისი დაადგენს, რომ ვადის შეუსრულებლობა დადგა გარემოებებით მოთხოვნილი სათანადო ზომების მიღების მიუხედავად, ან, ხელშემკვრელი მხარის არჩევანით, რომ ნებისმიერი ასეთი დაგვიანება გამოწვეული იყო დაუდევრობით.
- (2) *[გამონაკლისები]* რეგულაციებით გათვალისწინებულ გამონაკლისებთან დაკავშირებით, არ მოითხოვება უფლებების აღდგენის გათვალისწინება 1-ელი პუნქტის შესაბამისად.
- (3) *[მოსაკრებლები]* ხელშემკვრელმა მხარემ შეიძლება მოითხოვოს მოსაკრებლის გადახდა 1-ელი პუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნასთან დაკავშირებით.
- (4) *[მტკიცებულება]* ხელშემკვრელმა მხარემ შეიძლება მოითხოვოს (1)(iii) პუნქტში მითითებული მიზეზების დამადასტურებელი დეკლარაციის ან სხვა მტკიცებულების წარდგენა თავის ოფისში ოფისის მიერ დადგენილ ვადაში.
- (5) *[წერილობითი შენიშვნების წარდგენის შესაძლებლობა სავარაუდო უარის შემთხვევაში]* 1-ელი პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნის უარყოფა მთლიანად ან ნაწილობრივ არ შეიძლება, თუ მომთხოვნ მხარეს არ მიეცემა შესაძლებლობა, გონივრულ ვადაში წარადგინოს წერილობითი შენიშვნები სავარაუდო უარზე.

მუხლი 16

პრიორიტეტის მოთხოვნის შესწორება ან დამატება; პრიორიტეტის უფლების აღდგენა

(1) *[პრიორიტეტის მოთხოვნის შესწორება ან დამატება]* ხელშემკვერელმა მხარემ უნდა უზრუნველყოს პრიორიტეტის მოთხოვნის შესწორება ან დამატება განაცხადთან დაკავშირებით („შემდგომი განაცხადი“), თუ:

(i) ამ მიზნით მოთხოვნა შეტანილია ოფისში რეგულაციებით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად;

(ii) მოთხოვნა შეტანილია რეგულაციებით დადგენილ ვადაში; და

(iii) შემდგომი განაცხადის შეტანის თარიღი არ არის უგვიანესი პრიორიტეტის პერიოდის ვადის გასვლის თარიღისა, რომელიც გამოითვლება იმ უადრესი განაცხადის შეტანის თარიღიდან, რომლის პრიორიტეტია მოთხოვნილი.

(2) *[შემდგომი განაცხადის დაგვიანებით შეტანა]* ხელშემკვერელი მხარე უზრუნველყოფს, რომ იმ შემთხვევაში, თუ შეტანის თარიღი განაცხადისა („შემდგომი განაცხადი“), რომელშიც მოთხოვნილია ან შეიძლება მოთხოვნილი ყოფილიყო ადრე შეტანილი განაცხადის პრიორიტეტი, გვიანია პრიორიტეტის ვადის გასვლის თარიღზე, მაგრამ იცავს რეგულაციებით დადგენილ ვადას, ოფისი ადადგენს პრიორიტეტის უფლებას, თუ:

(i) ამ მიზნით მოთხოვნა შეტანილია ოფისში რეგულაციებით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად;

(ii) მოთხოვნა შეტანილია რეგულაციებით დადგენილ ვადაში;

(iii) მოთხოვნაში მითითებულია პრიორიტეტის ვადის შეუსრულებლობის მიზეზები; და

(iv) ოფისი დაადგენს, რომ შემდგომი განაცხადის შეტანა პრიორიტეტის ვადაში ვერ მოხერხდა გარემოებებით მოთხოვნილი სათანადო ზომების მიღების მიუხედავად ან, ხელშემკვერელი მხარის არჩევანით, გამოწვეული იყო დაუდევრობით.

(3) *[მოსაკრებლები]* ხელშემკვერელმა მხარემ შეიძლება მოითხოვოს მოსაკრებლის გადახდა 1-ელი პუნქტით და მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან დაკავშირებით.

(4) *[მტკიცებულება]* ხელშემკვერელმა მხარემ შეიძლება მოითხოვოს, რომ (2)(iii) პუნქტში მითითებული მიზეზების დამადასტურებელი დეკლარაცია ან სხვა მტკიცებულება შეტანილ იქნეს თავის ოფისში ოფისის მიერ დადგენილ ვადაში.

(5) *[წერილობითი შენიშვნების წარდგენის შესაძლებლობა სავარაუდო უარის შემთხვევაში]* 1-ელი ან მე-2 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნის უარყოფა მთლიანად ან ნაწილობრივ არ შეიძლება, თუ მომთხოვნ მხარეს არ მიეცემა შესაძლებლობა, გონივრულ ვადაში წარადგინოს წერილობითი შენიშვნები სავარაუდო უარზე.

მუხლი 17

ლიცენზიის ან უზრუნველყოფის ინტერესის რეგისტრაციის მოთხოვნა

(1) *[ლიცენზიის რეგისტრაციის მოთხოვნასთან დაკავშირებული მოთხოვნები]* იმ შემთხვევაში, თუ ხელშემკვრელი მხარის კანონმდებლობა ითვალისწინებს ლიცენზიის რეგისტრაციას ოფისში, ამ ხელშემკვრელმა მხარემ შეიძლება მოითხოვოს, რომ რეგისტრაციის მოთხოვნა:

(i) შეტანილ იქნეს რეგულაციებით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად; და

(ii) თანდართული იყოს რეგულაციებით დადგენილი დამადასტურებელი დოკუმენტები.

(2) *[მოსაკრებლები]* ლიცენზიის რეგისტრაციასთან დაკავშირებით, ოფისმა შეიძლება მოითხოვოს მოსაკრებლის გადახდა.

(3) *[ერთი მოთხოვნა]* ერთი მოთხოვნა საკმარისია მაშინაც კი, როდესაც ლიცენზია ეხება ერთზე მეტ რეგისტრაციას, იმ პირობით, რომ მოთხოვნაში მითითებულია ყველა შესაბამისი რეგისტრაციის ნომერი, მფლობელი და ლიცენზიატი ერთი და იგივეა ყველა რეგისტრაციისთვის, ხოლო მოთხოვნაში მითითებულია ლიცენზიის ფარგლები ყველა რეგისტრაციასთან დაკავშირებით.

(4) *[სხვა მოთხოვნების აკრძალვა]*

(a) ოფისში ლიცენზიის რეგისტრაციასთან დაკავშირებით არ შეიძლება მოთხოვნილ იქნეს (1)-(3) პუნქტებში და მე-12 მუხლში მითითებულის გარდა სხვა მოთხოვნა. კერძოდ, არ შეიძლება მოთხოვნილ იქნეს შემდეგი:

(i) ლიცენზიის საგნის სამრეწველო დიზაინის სარეგისტრაციო მოწმობის წარდგენა;

(ii) სალიცენზიო ხელშეკრულების ფინანსური პირობების მითითება.

(b) (a) ქვეპუნქტი გავლენას არ ახდენს ხელშემკვრელი მხარის კანონმდებლობით განსაზღვრულ ვალდებულებებზე, რომლებიც ეხება ინფორმაციის გამჟღავნებას ლიცენზიის რეგისტრაციის გარდა სხვა მიზნებისთვის.

(5) *[მტკიცებულება]* შესაძლებელია მოთხოვნილ იქნას, რომ მტკიცებულება წარედგინოს ოფისს იმ შემთხვევაში, თუ ოფისში ვინმე საფუძვლიან ეჭვს შეიტანს მოთხოვნაში ან ნებისმიერ დამხმარე დოკუმენტში მოცემული რომელიმე მითითების სისწორეში.

(6) *[განაცხადებთან დაკავშირებული მოთხოვნები]* (1)-(5) პუნქტები გამოიყენება, *mutatis mutandis* (შესაბამისი ცვლილებებით), ლიცენზიის რეგისტრაციის მოთხოვნებზე განაცხადთან დაკავშირებით, იმ შემთხვევაში, თუ ხელშემკვრელი მხარის კანონმდებლობა ითვალისწინებს ასეთ რეგისტრაციას.

(7) *[უზრუნველყოფის ინტერესის რეგისტრაციის მოთხოვნა]* (4)(a)(ii) პუნქტის გარდა, (1)-(5) პუნქტები გამოიყენება, *mutatis mutandis*, უზრუნველყოფის ინტერესის რეგისტრაციის მოთხოვნებზე განაცხადთან ან რეგისტრაციასთან დაკავშირებით.

მუხლი 18**ლიცენზიის ან უზრუნველყოფის ინტერესის რეგისტრაციის ცვლილების ან გაუქმების მოთხოვნა**

(1) *[ლიცენზიის რეგისტრაციის ცვლილების ან გაუქმების მოთხოვნასთან დაკავშირებული მოთხოვნები]* იმ შემთხვევაში, თუ ხელშემკვრელი მხარის კანონმდებლობა ითვალისწინებს ლიცენზიის რეგისტრაციას მის ოფისში, ამ ხელშემკვრელმა მხარემ შეიძლება მოითხოვოს, რომ ლიცენზიის რეგისტრაციის ცვლილების ან გაუქმების მოთხოვნა:

(i) შეტანილ იქნეს რეგულაციებით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად; და

(ii) თან ახლდეს რეგულაციებით დადგენილი დამადასტურებელი დოკუმენტები.

(2) *[უზრუნველყოფის ინტერესის რეგისტრაციის გაუქმების მოთხოვნასთან დაკავშირებული მოთხოვნები]* 1-ელი პუნქტი სათანადო ცვლილებებით გამოიყენება უზრუნველყოფის ინტერესის რეგისტრაციის გაუქმების მოთხოვნებზე.

(3) *[სხვა მოთხოვნები]* მე-17 მუხლის (2)-(7) პუნქტები სათანადო ცვლილებებით გამოიყენება ლიცენზიის რეგისტრაციის ცვლილების ან გაუქმების მოთხოვნებზე და უზრუნველყოფის ინტერესის რეგისტრაციის გაუქმების მოთხოვნებზე.

მუხლი 19**ლიცენზიის დაურეგისტრირებულობის შედეგები**

(1) *[რეგისტრაციის ნამდვილობა და სამრეწველო დიზაინის დაცვა]* ლიცენზიის ოფისში ან ხელშემკვრელი მხარის ნებისმიერ სხვა ორგანოში დაურეგისტრირებულობა გავლენას არ ახდენს ლიცენზიის საგნის სამრეწველო დიზაინის რეგისტრაციის ნამდვილობაზე და არც ამ სამრეწველო დიზაინის დაცვაზე.

(2) *[ლიცენზიატის გარკვეული უფლებები]* ხელშემკვრელ მხარეს არ შეუძლია მოითხოვოს ლიცენზიის რეგისტრაცია, როგორც პირობა ნებისმიერი უფლების განხორციელებისათვის, რომელიც ლიცენზიატს შეიძლება ჰქონდეს ამ ხელშემკვრელი მხარის კანონმდებლობით, რათა შეუერთდეს მფლობელის მიერ დაწყებულ სასამართლო საქმისწარმოებას სამრეწველო დიზაინზე უფლების დარღვევასთან დაკავშირებით ან ასეთი საქმისწარმოების გზით მიიღოს ანაზღაურება ზარალისთვის, რომელიც გამოწვეულია ლიცენზიის საგნის სამრეწველო დიზაინზე უფლების დარღვევით.

მუხლი 20**ლიცენზიის მითითება**

იმ შემთხვევაში, თუ ხელშემკვრელი მხარის კანონმდებლობა მოითხოვს მითითებას იმის შესახებ, რომ სამრეწველო დიზაინი გამოიყენება ლიცენზიის შესაბამისად, ამ მოთხოვნის სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობა გავლენას არ მოახდენს ლიცენზიის საგნის სამრეწველო დიზაინის რეგისტრაციის ნამდვილობაზე და არც ამ სამრეწველო დიზაინის დაცვაზე.

მუხლი 21

საკუთრების ცვლილების რეგისტრაციის მოთხოვნა

(1) *[რეგისტრაციის მოთხოვნასთან დაკავშირებული მოთხოვნები]*

(a) იმ შემთხვევაში, თუ იცვლება მფლობელი პირი, ხელშემკვრელი მხარე უშვებს, რომ ცვლილების რეგისტრაციის მოთხოვნა ოფისში შეიტანოს ან მფლობელმა, ან ახალმა მესაკუთრემ.

(b) ხელშემკვრელმა მხარემ შეიძლება მოითხოვოს მასში რეგულაციებით დადგენილი ზოგიერთი ან ყველა მითითების შეტანა.

(2) *[საკუთრების ცვლილების რეგისტრაციის დამხმარე დოკუმენტებთან დაკავშირებული მოთხოვნები]*

(a) იმ შემთხვევაში, თუ საკუთრების ცვლილება გამოწვეულია ხელშეკრულებით, ხელშემკვრელმა მხარემ შეიძლება მოითხოვოს, რომ მოთხოვნას თან დაერთოს, მომთხოვნი მხარის არჩევანით, რეგულაციებით გათვალისწინებული ერთ-ერთი ელემენტი.

(b) იმ შემთხვევაში, თუ საკუთრების ცვლილება გამოწვეულია შერწყმით, ხელშემკვრელმა მხარემ შეიძლება მოითხოვოს, რომ მოთხოვნას თან დაერთოს დოკუმენტის ასლი, რომელიც შემუშავებულია უფლებამოსილი ორგანოს მიერ და ადასტურებს შერწყმას, როგორცაა ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან, და რომ ასლის შესაბამისობა დოკუმენტის დედანთან დამოწმებული იყოს დოკუმენტის გამცემი ორგანოს ან ნოტარიუსის ან ნებისმიერი სხვა უფლებამოსილი საჯარო ორგანოს მიერ.

(c) იმ შემთხვევაში, თუ ადგილი აქვს რამდენიმე თანამფლობელიდან ერთი ან მეტი, მაგრამ არა ყველა თანამფლობელის ცვლილებას, და საკუთრების ასეთი ცვლილება გამოწვეულია ხელშეკრულებით ან შერწყმით, ხელშემკვრელმა მხარემ შეიძლება მოითხოვოს, რომ ნებისმიერმა თანამფლობელმა, რომელთან დაკავშირებითაც არ მომხდარა საკუთრების ცვლილება, გამოხატოს თავისი პირდაპირი თანხმობა საკუთრების ცვლილებაზე ასეთი თანამფლობელის მიერ ხელმოწერილ დოკუმენტში.

(d) იმ შემთხვევაში, თუ საკუთრების ცვლილება არ არის გამოწვეული ხელშეკრულებით ან შერწყმით, არამედ სხვა საფუძვლით, მაგალითად, კანონის მოქმედებით ან სასამართლოს გადაწყვეტილებით, ხელშემკვრელმა მხარემ შეიძლება მოითხოვოს, რომ მოთხოვნას თან დაერთოს ცვლილების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი და დამოწმდეს ამ ასლის

შესაბამისობა დოკუმენტის დედანთან დოკუმენტის გამცემი ორგანოს ან ნოტარიუსის ან ნებისმიერი სხვა უფლებამოსილი საჯარო ორგანოს მიერ.

(3) *[მოსაკრებლები]* ხელშემკვრელმა მხარემ შეიძლება მოითხოვოს ოფისისთვის მოსაკრებლის გადახდა მოთხოვნასთან დაკავშირებით.

(4) *[ერთი მოთხოვნა]* ერთი მოთხოვნა საკმარისია მაშინაც კი, როდესაც ცვლილება ეხება ერთზე მეტ რეგისტრაციას, იმ პირობით, რომ მფლობელი და ახალი მესაკუთრე ერთი და იგივეა თითოეული რეგისტრაციისთვის, და მოთხოვნაში მითითებულია ყველა შესაბამისი რეგისტრაციის ნომერი.

(5) *[განაცხადის მესაკუთრის ცვლილება]* (1)-(4) პუნქტები შესაბამისი ცვლილებებით გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ მესაკუთრის ცვლილება ეხება განაცხადს, იმ პირობით, რომ თუ შესაბამის განაცხადს ნომერი ჯერ არ მინიჭებია ან ეს ნომერი უცნობია განმცხადებლისთვის ან მისი წარმომადგენლისთვის, მოთხოვნა განიხილავს განაცხადს რეგულაციებით დადგენილი წესით.

(6) *[სხვა მოთხოვნების აკრძალვა]* არც ერთ ხელშემკვრელ მხარეს არ შეუძლია მოითხოვოს, რომ შესრულდეს (1)-(5) პუნქტებში და მე-12 მუხლში მითითებულის გარდა სხვა მოთხოვნები საკუთრების ცვლილების რეგისტრაციის მოთხოვნასთან დაკავშირებით.

(7) *[მტკიცებულება]* ხელშემკვრელმა მხარემ შეიძლება მოითხოვოს ოფისისთვის მტკიცებულების ან დამატებითი მტკიცებულების წარდგენა, რომელზეც (2)(b) ან (d) პუნქტები ვრცელდება, თუ ოფისში საფუძვლიანი ეჭვი შეეპარათ მოთხოვნაში ან ამ მუხლში მითითებულ ნებისმიერ დოკუმენტში მოცემული რომელიმე მითითების სისწორეში.

მუხლი 22

სახელების ან მისამართების შეცვლა

(1) *[მფლობელის სახელების ან მისამართების შეცვლა]*

(a) იმ შემთხვევაში, თუ მფლობელის პიროვნება არ იცვლება, მაგრამ ხდება მისი სახელის და/ან მისამართის შეცვლა, თითოეული ხელშემკვრელი მხარე უშვებს, რომ ოფისის მიერ ცვლილების რეგისტრაციის მოთხოვნა შეტანილ იქნეს მფლობელის მიერ შეტყობინებით, რომელშიც უნდა მიეთითოს შესაბამისი რეგისტრაციის ნომერი და შესატანი ცვლილება.

(b) ხელშემკვრელმა მხარემ შეიძლება მოითხოვოს, რომ მოთხოვნა შეიცავდეს რეგულაციებით დადგენილ ზოგიერთ ან ყველა მითითებას.

(c) ხელშემკვრელმა მხარემ შეიძლება მოითხოვოს ოფისისთვის მოსაკრებლის გადახდა მოთხოვნასთან დაკავშირებით.

(d) ერთი მოთხოვნა საკმარისია მაშინაც კი, როდესაც ცვლილება ეხება ერთზე მეტ რეგისტრაციას, იმ პირობით, რომ მოთხოვნაში მითითებულია ყველა შესაბამისი რეგისტრაციის ნომერი.

(2) *[განმცხადებლის სახელის ან მისამართის შეცვლა]* 1-ელი პუნქტი შესაბამისი ცვლილებებით გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ ცვლილება ეხება განაცხადს ან განაცხადებს, ან როგორც განაცხადს ან განაცხადებს, ასევე რეგისტრაციას ან რეგისტრაციებს, იმ პირობით, რომ თუ შესაბამისი განაცხადის ნომერი ჯერ არ არის მინიჭებული ან უცნობია განმცხადებლისთვის ან მისი წარმომადგენლისთვის, მოთხოვნა განიხილავს განაცხადს რეგულაციებით დადგენილი წესით.

(3) *[წარმომადგენლის სახელის ან მისამართის ან მომსახურების მისამართის შეცვლა]* 1-ელი პუნქტი შესაბამისი ცვლილებებით გამოიყენება წარმომადგენლის სახელის ან მისამართის ნებისმიერი ცვლილების მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში და კორექსონდენციის გაგზავნის მისამართთან დაკავშირებული ნებისმიერი ცვლილების მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

(4) *[სხვა მოთხოვნების აკრძალვა]* არც ერთ ხელშემკვრელ მხარეს არ შეუძლია მოითხოვოს, რომ 1-ელ და მე-2 პუნქტებში და მე-12 მუხლში მითითებულის გარდა სხვა მოთხოვნების შესრულება ამ მუხლში მითითებულ მოთხოვნასთან დაკავშირებით. კერძოდ, არ შეიძლება მოთხოვნილ იქნეს ცვლილებასთან დაკავშირებული ნებისმიერი სერტიფიკატის წარდგენა.

(5) *[მტკიცებულება]* ხელშემკვრელმა მხარემ შეიძლება მოითხოვოს მტკიცებულების წარდგენა ოფისში იმ შემთხვევაში, თუ ოფისში საფუძლიანი ეჭვი უჩნდებათ მოთხოვნაში მოცემული რომელიმე მითითების სისწორეში.

მუხლი 23

შეცდომის გასწორება

(1) *[მოთხოვნა]*

(a) იმ შემთხვევაში, თუ განაცხადი, რეგისტრაცია ან ნებისმიერი მოთხოვნა, რომელიც წარედგინა ოფისს განაცხადთან ან რეგისტრაციასთან დაკავშირებით, შეიცავს შეცდომას, რომელიც არ არის დაკავშირებული ძიებასთან ან არსებით ექსპერტიზასთან, და რომელიც შეიძლება გასწორდეს ოფისის მიერ მოქმედი კანონმდებლობით, ოფისმა უნდა დაუშვას, რომ ოფისის ჩანაწერებსა და პუბლიკაციებში ამ შეცდომის გასწორების მოთხოვნა შეტანილ იქნეს ოფისისთვის მიმართულ შეტყობინებაში, რომელსაც ხელს აწერს განმცხადებელი ან მფლობელი.

(b) ხელშემკვრელმა მხარემ შეიძლება მოითხოვოს, რომ მოთხოვნას თან ერთვოდეს ცვლილების ნაწილი ან შესწორების ნაწილი, ან, თუ (3) პუნქტი გამოიყენება, ისეთი ცვლილების ნაწილი ან შესწორების ნაწილი თითოეული განაცხადისა და რეგისტრაციისთვის, რომელსაც მოთხოვნა ეხება.

(c) ხელშემკვრელმა მხარემ შეიძლება მოითხოვოს, რომ მოთხოვნას თან დაერთოს მომთხოვნი მხარის განცხადება, რომ შეცდომა მიზანმიმართულად არ იყო დაშვებული.

(d) ხელშემკვრელმა მხარემ შეიძლება მოითხოვოს, რომ მოთხოვნას თან დაერთოს მომთხოვნი მხარის განცხადება, რომ აღნიშნული მოთხოვნა შეტანილ იქნა შეცდომის აღმოჩენისთანავე ზედმეტი დაყოვნების გარეშე ან, ხელშემკვრელი მხარის არჩევანით, იგი შეტანილ იქნა გამიზნული დაყოვნების გარეშე.

(2) *[მოსაკრებლები]* (a) (b) ქვეპუნქტის გათვალისწინებით, ხელშემკვრელმა მხარემ შეიძლება მოითხოვოს მოსაკრებლის გადახდა 1-ელი პუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნასთან დაკავშირებით.

(b) ოფისი ვალდებულია, უფასოდ გაასწოროს თავისი შეცდომები, *ex officio* ან მოთხოვნის საფუძველზე.

(3) *[ერთი მოთხოვნა]* 21(4) მუხლი სათანადო ცვლილებებით ვრცელდება შეცდომის გასწორების მოთხოვნებზე, იმ პირობით, რომ შეცდომა და მოთხოვნილი შესწორება ერთი და იგივეა ყველა შესაბამისი განაცხადისა და რეგისტრაციისთვის.

(4) *[მტკიცებულება]* ხელშემკვრელმა მხარემ შეიძლება მოითხოვოს მოთხოვნის დამადასტურებელი მტკიცებულების წარდგენა ოფისში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ოფისში საფუძვლიანად ეჭვობენ, რომ სავარაუდო შეცდომა ნამდვილად შეცდომაა, ან თუ საფუძვლიანი ეჭვი ეპარებათ შეცდომის გასწორების მოთხოვნაში მოცემული ნებისმიერი ელემენტის ან მასთან დაკავშირებით შეტანილი ნებისმიერი დოკუმენტის სისწორეში.

(5) *[სხვა მოთხოვნების აკრძალვა]* არც ერთ ხელშემკვრელ მხარეს არ შეუძლია მოითხოვოს, რომ შესრულდეს (1)-(4) პუნქტებში მითითებულის გარდა სხვა ფორმალური მოთხოვნები 1-ელ პუნქტში მითითებულ მოთხოვნასთან დაკავშირებით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სხვა რამ არის გათვალისწინებული ამ ხელშეკრულებით ან დადგენილი რეგულაციებით.

(6) *[გამორიცხვები]* ხელშემკვრელმა მხარემ შეიძლება გამორიცხოს ამ მუხლის გამოყენება ნებისმიერ შეცდომასთან დაკავშირებით, რომელიც ამ ხელშემკვრელ მხარეში უნდა გასწორდეს რეგისტრაციის ხელახალი გაცემის პროცედურის შესაბამისად.

მუხლი 24

ტექნიკური დახმარება და შესაძლებლობების განვითარება

(1) *[პრინციპები]* ტექნიკური დახმარება უნდა:

(i) იყოს განვითარებაზე ორიენტირებული, მოთხოვნაზე დაფუძნებული, გამჭვირვალე, მიზნობრივი და შესაბამისი იმისთვის, რომ გაძლიერდეს ბენეფიციარი ქვეყნების შესაძლებლობები ხელშეკრულების განსახორციელებლად;

(ii) ითვალისწინებდეს მიმღები ქვეყნების პრიორიტეტებსა და სპეციფიკურ საჭიროებებს, რათა მომხმარებლებს შეეძლოთ სრულად ისარგებლონ ხელშეკრულების დებულებებით.

(2) [ტექნიკური დახმარება და შესაძლებლობების განვითარება]

(a) ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ტექნიკური დახმარებისა და შესაძლებლობების განვითარების საქმიანობა განხორციელდება ამ ხელშეკრულების შესასრულებლად და, მოთხოვნის შემთხვევაში, მოიცავს შემდეგი სახის დახმარებას:

(i) საჭირო სამართლებრივი ჩარჩოს შექმნა და სამრეწველო დიზაინების მარეგისტრირებელი ორგანოების ადმინისტრაციული პრაქტიკისა და პროცედურების გადასინჯვა;

(ii) ოფისების საჭირო შესაძლებლობების განვითარება, მათ შორის, მაგრამ არ შემოიფარგლება ადამიანური რესურსების ტრენინგის, ტექნოლოგიური მხარდაჭერისა და ცნობიერების ამაღლების უზრუნველყოფით.

(b) ორგანიზაციას ეთხოვება, WIPO-ს ფინანსური წესებისა და დებულებების გათვალისწინებით, უზრუნველყოს ამ ხელშეკრულების განსახორციელებლად ტექნიკური დახმარებისა და შესაძლებლობების განვითარების დაფინანსება (1), (2)(a), (3)(a) პუნქტებისა და 26-ე მუხლის (1)(c) და 26-ე მუხლის (2)(vi) ქვეპუნქტების შესაბამისად. გარდა ამისა, ორგანიზაცია წახალისებულია დადოს შეთანხმებები საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებთან, სამთავრობათაშორისო ორგანიზაციებსა და მიმღები ქვეყნების მთავრობებთან, რათა უზრუნველყოს ფინანსური მხარდაჭერა ამ ხელშეკრულების შესაბამისად გაწეული ტექნიკური დახმარებისთვის.

(3) [სხვა დებულებები]

(a) ხელშემკვრელი მხარეებს რეკომენდაცია ეძლევათ მონაწილეობა მიიღონ ორგანიზაციის ციფრულ ბიბლიოთეკებში სამრეწველო დიზაინებისათვის, რომლებზეც წვდომას უზრუნველყოფს საერთაშორისო ბიურო. ხელშემკვრელი მხარეებს რეკომენდაცია ეძლევათ გაცვალონ გამოქვეყნებული ინფორმაცია რეგისტრირებული სამრეწველო დიზაინების შესახებ ასეთი სისტემების მეშვეობით. საერთაშორისო ბიურო მხარს დაუჭერს ხელშემკვრელ მხარეების მცდელობებს, გაცვალონ ინფორმაცია ასეთი სისტემების მეშვეობით. საერთაშორისო ბიუროს ეთხოვება ხელი შეუწყოს ოფისების შესაბამის ციფრულ ბიბლიოთეკებზე წვდომას.

(b) წინამდებარე ხელშეკრულების ხელშემკვრელ მხარეებს შეუძლიათ შემოიღონ შეღავათების სისტემა განმცხადებლებისათვის მოსაკრებლების გადახდისას.

მუხლი 25

რეგულაციები

(1) [შინაარსი]

(a) წინააღმდეგარე ხელშეკრულებაზე დართული რეგულაციები ითვალისწინებს წესებს შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

(i) საკითხები, რომელთა დადგენაც ამ ხელშეკრულებით პირდაპირ არის გათვალისწინებული რეგულაციებში;

(ii) ნებისმიერი დეტალი, რომელიც სასარგებლოა ამ ხელშეკრულების რეგულაციების განსახორციელებლად;

(iii) ნებისმიერი ადმინისტრაციული მოთხოვნა, საკითხი ან პროცედურა.

(b) რეგულაციები ასევე ითვალისწინებს ასამბლეის მიერ დასადგენი საერთაშორისო მოდელის ფორმების გამოქვეყნებას.

(2) *[რეგულაციების შესწორება]* მე-3 პუნქტის გათვალისწინებით, რეგულაციების ნებისმიერი შესწორება მოითხოვს ხმათა სამი მეოთხედს.

(3) *[ერთხმიანობის მოთხოვნა]*

(a) რეგულაციებით შესაძლებელია რეგულაციების დებულებების განსაზღვრა, რომლებიც შეიძლება მხოლოდ ერთხმად შესწორდეს.

(b) რეგულაციებში ნებისმიერი შესწორების შეტანა, რომელიც იწვევს რეგულაციებით განსაზღვრულ დებულებებზე დებულების დამატებას ან დებულების ამოღებას (a) ქვეპუნქტის შესაბამისად, უნდა ერთხმად გადაწყდეს.

(c) იმის დადგენისას, მიღწეულია თუ არა ერთხმიანობა, მხედველობაში მიიღება მხოლოდ ფაქტობრივად მიცემული ხმები. თავის შეკავება არ ჩაითვლება ხმად და არ მიიღება მხედველობაში.

(4) *[კონფლიქტი ხელშეკრულებისა და რეგულაციების დებულებებს შორის]* წინამდებარე ხელშეკრულების დებულებებსა და რეგულაციების დებულებებს შორის კონფლიქტის შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება ხელშეკრულების დებულებებს.

მუხლი 26

ასამბლეა

(1) *[შემადგენლობა]*

(a) ხელშემკვრელი მხარეები აფუძნებენ ასამბლეას.

(b) თითოეული ხელშემკვრელი მხარე წარმოდგენილი იქნება ასამბლეაში ერთი დელეგატით, რომელმაც შეიძლება ისარგებლოს ალტერნატიული დელეგატების, მრჩევლებისა და ექსპერტების დახმარებით. თითოეულ დელეგატს შეუძლია წარმოადგინოს მხოლოდ ერთი ხელშემკვრელი მხარე.

(c) თითოეული დელეგაციის ხარჯებს გაიღებს ხელშემკვრელი მხარე, რომელმაც დანიშნა დელეგაცია. ასამბლეამ შეიძლება მოსთხოვოს ორგანიზაციას ფინანსური დახმარების გაცემა

იმ ხელშემკვრელი მხარეების დელეგაციების მონაწილეობის ხელშესაწყობად, რომლებიც მიჩნეულნი არიან განვითარებად ქვეყნებად გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მიერ დადგენილი პრაქტიკის შესაბამისად ან ყველაზე ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებად ან რომლებიც ითვლებიან გარდამავალი საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნებად.

(2) *[ამოცანები]* ასამბლეა:

- (i) განიხილავს ამ ხელშეკრულების განვითარებასთან დაკავშირებულ საკითხებს;
- (ii) ადგენს საერთაშორისო მოდელის ფორმებს, რომლებიც მითითებულია 25-ე მუხლის (1)(b) პუნქტში;
- (iii) ახორციელებს ცვლილებებს რეგულაციებში;
- (iv) განსაზღვრავს პირობებს (iii) ქვეპუნქტში მითითებული თითოეული შესწორების გამოყენების თარიღთან დაკავშირებით;
- (v) აკონტროლებს, ყოველ მორიგ სესიაზე, წინამდებარე ხელშეკრულების განსახორციელებლად გაწეულ ტექნიკურ დახმარებას;
- (vi) თხოვნით მიმართავს საერთაშორისო ბიუროს, წინამდებარე ხელშეკრულების განხორციელების ხელშეწყობის მიზნით, უზრუნველყოს ტექნიკური დახმარება, კერძოდ განვითარებადი ქვეყნებისა და ყველაზე ნაკლებად განვითარებული ქვეყნებისთვის, 24-ე მუხლის შესაბამისად;
- (vii) ასრულებს სხვა ფუნქციებს, რომლებიც აუცილებელია წინამდებარე ხელშეკრულების დებულებების განსახორციელებლად.

(3) *[კვორუმი]*

- (a) ასამბლეის წევრების ნახევარი, რომლებიც არიან სახელმწიფოები, შეადგენს კვორუმს.
- (b) (a) ქვეპუნქტის მიუხედავად, თუ ნებისმიერ სესიაზე ასამბლეის წევრების რაოდენობა, რომლებიც არიან სახელმწიფოები და არიან წარმოდგენილნი, ნახევარზე ნაკლებია, მაგრამ ტოლია ან მეტია ასამბლეის წევრების ერთ-მესამედზე, რომლებიც არიან სახელმწიფოები, ასამბლეას შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილებები, მაგრამ ყველა ასეთი გადაწყვეტილება, გარდა გადაწყვეტილებებისა საკუთარი პროცედურის შესახებ, ძალაში შედის მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ქვემოთ მოცემული პირობები შესრულდება. საერთაშორისო ბიურო გადასცემს აღნიშნულ გადაწყვეტილებებს ასამბლეის წევრებს, რომლებიც არიან სახელმწიფოები და არ იყვნენ წარმოდგენილნი ასამბლეაზე, და სთავაზობს მათ წერილობით შეატყობინონ, ხმას აძლევენ ამ გადაწყვეტილებებს თუ თავს იკავებენ მათთვის გაგზავნილი გადაწყვეტილებების მიღების თარიღიდან სამი თვის ვადაში. თუ ამ ვადის გასვლის შემდეგ, ასეთი წევრების რაოდენობა, რომლებმაც ამგვარად გამოხატეს თავიანთი თანხმობა ან თავშეკავება, მიაღწევს იმ წევრების რაოდენობას, რომელიც აკლდა სესიაზე კვორუმის

მისაღწევად, ასეთი გადაწყვეტილებები ძალაში შევა, იმ პირობით, რომ ამავდროულად შენარჩუნდება საჭირო უმრავლესობა.

(4) *[გადაწყვეტილებების მიღება ასამბლეაში]*

(a) ასამბლეა ძალისხმევას არ იშურებს, რათა გადაწყვეტილებები მიიღოს კონსენსუსის საფუძველზე.

(b) თუ გადაწყვეტილება კონსენსუსის საფუძველზე ვერ მიიღება, საკითხი უნდა გადაწყდეს კენჭისყრით. ამ შემთხვევაში:

(i) თითოეულ ხელშემკვრელ მხარეს, რომელიც არის სახელმწიფო, ექნება ერთი ხმა და ხმას მისცემს მხოლოდ საკუთარი სახელით; და

(ii) ნებისმიერ ხელშემკვრელ მხარეს, რომელიც არის სამთავრობათაშორისო ორგანიზაცია, შეუძლია მონაწილეობა მიიღოს კენჭისყრაში, მისი წევრი სახელმწიფოების ნაცვლად, ხმების რაოდენობით, რომელიც ტოლია მისი წევრი სახელმწიფოების რაოდენობისა, რომლებიც ამ ხელშეკრულების მხარენი არიან. ასეთი სამთავრობათაშორისო ორგანიზაცია ვერ მიიღებს მონაწილეობას კენჭისყრაში, თუ მისი რომელიმე წევრი სახელმწიფო გამოიყენებს ხმის მიცემის უფლებას და პირიქით. გარდა ამისა, ასეთი სამთავრობათაშორისო ორგანიზაცია ვერ მიიღებს მონაწილეობას კენჭისყრაში, თუ მისი რომელიმე წევრი სახელმწიფო, რომელიც ამ ხელშეკრულების მხარეა, არის სხვა ამგვარი სამთავრობათაშორისო ორგანიზაციის წევრი სახელმწიფო და ეს სხვა სამთავრობათაშორისო ორგანიზაცია მონაწილეობს ამ კენჭისყრაში.

(5) *[უმრავლესობები]*

(a) 25-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების გათვალისწინებით, ასამბლეის გადაწყვეტილებები მოითხოვს ხმათა ორ-მესამედს.

(b) იმის დადგენისას, მიღწეულია თუ არა საჭირო უმრავლესობა, მხედველობაში მიიღება მხოლოდ ფაქტობრივად მიცემული ხმები. თავის შეკავება არ ჩაითვლება ხმად.

(6) *[სესიები]* ასამბლეა იკრიბება გენერალური დირექტორის მოწვევით და, განსაკუთრებული გარემოებების არარსებობის შემთხვევაში, იმავე დროსა და იმავე ადგილას, სადაც ორგანიზაციის გენერალური ასამბლეა.

(7) *[პროცედურის წესები]* ასამბლეა ადგენს საკუთარი პროცედურის წესებს, მათ შორის საგანგებო სესიების მოწვევის წესებს.

მუხლი 27

საერთაშორისო ბიურო

(1) *[ადმინისტრაციული ფუნქციები]*

(a) საერთაშორისო ბიურო ასრულებს წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებულ ადმინისტრაციულ ფუნქციებს.

(b) კერძოდ, საერთაშორისო ბიურო ამზადებს შეხვედრებს და უზრუნველყოფს ასამბლეის და ექსპერტთა კომიტეტებისა და სამუშაო ჯგუფების სამდივნოს მუშაობას, რომლებიც შეიძლება დააფუძნოს ასამბლეამ.

(2) *[შეხვედრები, გარდა ასამბლეის სესიებისა]* გენერალური დირექტორი იწვევს ასამბლეის მიერ დაფუძნებული ნებისმიერი კომიტეტისა და სამუშაო ჯგუფის სხდომას.

(3) *[საერთაშორისო ბიუროს როლი ასამბლეასა და სხვა შეხვედრებში]*

(a) გენერალური დირექტორი და გენერალური დირექტორის მიერ დანიშნული პირები მონაწილეობენ, ხმის მიცემის უფლების გარეშე, ასამბლეის, ასამბლეის მიერ დაფუძნებული კომიტეტებისა და სამუშაო ჯგუფების ყველა შეხვედრაში.

(b) გენერალური დირექტორი ან გენერალური დირექტორის მიერ დანიშნული თანამშრომელი თანამდებობრივად არის ასამბლეის და (a) ქვეპუნქტში მითითებული კომიტეტებისა და სამუშაო ჯგუფების მდივანი.

(4) *[კონფერენციები]*

(a) საერთაშორისო ბიურო, ასამბლეის მითითებების შესაბამისად, ახორციელებს გადახედვის ნებისმიერი კონფერენციის მოსამზადებელ სამუშაოებს.

(b) საერთაშორისო ბიუროს შეუძლია კონსულტაციები გაუწიოს ორგანიზაციის წევრ სახელმწიფოებს, სამთავრობათაშორისო ორგანიზაციებს და საერთაშორისო და ეროვნულ არასამთავრობო ორგანიზაციებს აღნიშნულ მოსამზადებელ სამუშაოებთან დაკავშირებით.

(c) გენერალური დირექტორი და გენერალური დირექტორის მიერ დანიშნული პირები მონაწილეობენ, ხმის მიცემის უფლების გარეშე, გადასინჯვის კონფერენციების დისკუსიებში.

(5) *[სხვა ფუნქციები]* საერთაშორისო ბიურო ასრულებს ნებისმიერ სხვა ფუნქციას, რომელიც მას დაეკისრება წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებით.

მუხლი 28

გადახედვა

წინამდებარე ხელშეკრულება შეიძლება გადაიხედოს მხოლოდ დიპლომატიური კონფერენციის მიერ. ნებისმიერი დიპლომატიური კონფერენციის მოწვევის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ასამბლეა.

მუხლი 29

ხელშეკრულებაში მონაწილეობა

(1) *[დაშვებულობა]* შემდეგ სუბიექტებს შეუძლიათ ხელი მოაწერონ და მე-2 და მე-3 პუნქტებისა და 30-ე მუხლის 1-ელი და მე-3 პუნქტების გათვალისწინებით, გახდნენ ამ ხელშეკრულების მხარე:

(i) ორგანიზაციის ნებისმიერ წევრ სახელმწიფოს, რომელშიც სამრეწველო დიზაინები შეიძლება დარეგისტრირდეს მისი საკუთარი ოფისის მიერ;

(ii) ნებისმიერ სამთავრობათაშორისო ორგანიზაციას, რომელსაც გააჩნია ოფისი, რომელშიც სამრეწველო დიზაინები შეიძლება დარეგისტრირდეს იმ ტერიტორიაზე მოქმედებით, რომელზეც ვრცელდება სამთავრობათაშორისო ორგანიზაციის დამფუძნებელი ხელშეკრულება, მის ყველა წევრ სახელმწიფოში ან მის იმ წევრ სახელმწიფოებში, რომლებიც ამ მიზნით მითითებულია შესაბამის განაცხადში, იმ პირობით, რომ სამთავრობათაშორისო ორგანიზაციის ყველა წევრი სახელმწიფო არის ორგანიზაციის წევრი;

(iii) ორგანიზაციის ნებისმიერ წევრ სახელმწიფოს, სადაც სამრეწველო დიზაინები შეიძლება დარეგისტრირდეს მხოლოდ ორგანიზაციის წევრი სხვა სახელმწიფოს ოფისის მეშვეობით, რომელიც მითითებულია;

(iv) ორგანიზაციის ნებისმიერ წევრ სახელმწიფოს, სადაც სამრეწველო დიზაინები შეიძლება დარეგისტრირდეს მხოლოდ იმ სამთავრობათაშორისო ორგანიზაციის ოფისის მეშვეობით, რომლის წევრიც ეს სახელმწიფოა;

(v) ორგანიზაციის ნებისმიერ წევრ სახელმწიფოს, სადაც სამრეწველო დიზაინები შეიძლება დარეგისტრირდეს მხოლოდ ოფისის მეშვეობით, რომელიც საერთოა ორგანიზაციის წევრი სახელმწიფოების ჯგუფისთვის.

(2) *[რატიფიცირება ან შეერთება]* 1-ელ პუნქტში მითითებულ ნებისმიერ სუბიექტს შეუძლია ჩააბაროს შესანახად:

(i) რატიფიცირების დოკუმენტი, თუ მან ხელი მოაწერა ამ ხელშეკრულებას;

(ii) შეერთების დოკუმენტი, თუ მას ხელი არ მოუწერია ამ ხელშეკრულებისთვის.

(3) *[შესანახად ჩაბარების თარიღის ძალაში შესვლა]* რატიფიცირების ან შეერთების დოკუმენტის შესანახად ჩაბარების თარიღი ძალაში შედის:

(i) (1)(i) პუნქტში მითითებული სახელმწიფოს შემთხვევაში, იმ დღეს, როდესაც ამ სახელმწიფოს დოკუმენტი ჩაბარდა შესანახად;

(ii) სამთავრობათაშორისო ორგანიზაციის შემთხვევაში, იმ დღეს, როდესაც ამ სამთავრობათაშორისო ორგანიზაციის დოკუმენტი ჩაბარდა შესანახად;

(iii) (1)(iii) პუნქტში მითითებული სახელმწიფოს შემთხვევაში, იმ დღეს, როდესაც შემდეგი პირობა შესრულდება: ამ სახელმწიფოს დოკუმენტი ჩაბარდება შესანახად და სხვა განსაზღვრული სახელმწიფოს დოკუმენტი ჩაბარდება შესანახად;

(iv) (1)(iv) პუნქტში მითითებული სახელმწიფოს შემთხვევაში, ზემოთ (ii) ქვეპუნქტით მოქმედი თარიღი;

(v) (1)(v) პუნქტში მითითებული სახელმწიფოების ჯგუფის წევრი სახელმწიფოს შემთხვევაში, იმ დღეს, როდესაც ჯგუფის ყველა წევრი სახელმწიფოს დოკუმენტი ჩაბარდება შესანახად.

მუხლი 30

ძალაში შესვლა; რატიფიცირების და შეერთების ძალაში შესვლის თარიღი

(1) *[მხედველობაში მისაღები დოკუმენტები]* ამ მუხლის მიზნებისთვის, მხედველობაში მიიღება რატიფიცირების ან შეერთების მხოლოდ ის დოკუმენტები, რომლებიც ჩაბარებულია შესანახად 29-ე მუხლის 1-ელ პუნქტში მითითებული სუბიექტების მიერ და რომლებსაც აქვთ ძალაში შესვლის თარიღი 29-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად.

(2) *[ხელშეკრულების ძალაში შესვლა]* წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის 15 სახელმწიფოს ან 29-ე მუხლის (1)(ii) პუნქტში მითითებული სამთავრობათაშორისო ორგანიზაციის მიერ საკუთარი რატიფიცირების ან შეერთების დოკუმენტის შესანახად ჩაბარების თარიღიდან სამი თვის შემდეგ.

(3) *[რატიფიცირების და შეერთების ძალაში შესვლა ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდეგ]* ნებისმიერ სუბიექტს, რომელზეც არ ვრცელდება მე-2 პუნქტის მოქმედება, ამ ხელშეკრულებით ეკისრება ვალდებულება საკუთარი რატიფიცირების ან შეერთების დოკუმენტის შესანახად ჩაბარების თარიღიდან სამი თვის შემდეგ.

მუხლი 31

დათქმები

(1) *[დათქმა მე-5 მუხლის (2)(b) პუნქტზე]* ნებისმიერ სახელმწიფოს ან სამთავრობათაშორისო ორგანიზაციას დათქმით შეუძლია განაცხადოს, რომ მე-5 მუხლის (2)(b) პუნქტის მიუხედავად, მისი მოქმედი კანონმდებლობა იმ თარიღისთვის, როდესაც ის ხდება ამ ხელშეკრულების მხარე, განმცხადებელს ან სხვა დაინტერესებულ პირს, რომელიც ამ სახელმწიფოს ან სამთავრობათაშორისო ორგანიზაციის ტერიტორიაზე არ ცხოვრობს და არც რეალური და ეფექტური სამრეწველო ან კომერციული დაწესებულება გააჩნია, არ აძლევს იმის უფლებას, რომ თავად იმოქმედოს ოფისის წინაშე, რაც დაკავშირებულია განაცხადის შეტანასთან, შეტანის თარიღის დადგენის მიზნით.

(2) *[დათქმები მე-7, 10(1), 16(2) და/ან 19(2) მუხლებზე]* ნებისმიერ სახელმწიფოს ან სამთავრობათაშორისო ორგანიზაციას, რომლის მოქმედი კანონმდებლობა იმ თარიღისთვის, როდესაც ის ხდება ამ ხელშეკრულების მხარე, არ შეესაბამება მე-7, 10(1), 16(2) და/ან 19(2) მუხლებს, შეუძლია დათქმით განაცხადოს, რომ მას არ აკისრია ვალდებულება 7, 10(1), 16(2) და/ან 19(2) მუხლებით.

(3) *[მოდუსები]* ნებისმიერი დათქმა 1-ელი ან მე-2 პუნქტების შესაბამისად უნდა აისახოს განცხადებაში, რომელიც თან ერთვის წინამდებარე ხელშეკრულების რატიფიცირების ან შეერთების დოკუმენტს იმ სახელმწიფოს ან სამთავრობათაშორისო ორგანიზაციის მხრიდან, რომელიც აკეთებს დათქმას.

(4) *[გამოთხოვა]* ნებისმიერი დათქმა 1-ელი ან მე-2 პუნქტების შესაბამისად შეიძლება გამოთხოვილ იქნეს ნებისმიერ დროს.

(5) *[სხვა დათქმების აკრძალვა]* დაუშვებელია ამ ხელშეკრულებაზე სხვა დათქმა, გარდა 1-ელი ან მე-2 პუნქტებით ნებადართული დათქმებისა.

მუხლი 32

ხელშეკრულების დენონსაცია

(1) *[შეტყობინება]* ნებისმიერ ხელშემკვრელ მხარეს შეუძლია მოახდინოს ამ ხელშეკრულების დენონსაცია გენერალური დირექტორისადმი მიმართული შეტყობინებით.

(2) *[ძალაში შესვლის თარიღი]* დენონსაცია ძალაში შედის გენერალური დირექტორის მიერ შეტყობინების მიღებიდან ერთი წლის შემდეგ. ის გავლენას არ მოახდენს ამ ხელშეკრულების გამოყენებაზე ნებისმიერ მიმდინარე განაცხადთან ან ნებისმიერ სამრეწველო დიზაინთან დაკავშირებით, რომელიც რეგისტრირებულია დენონსაციის განმახორციელებელი ხელშემკვრელი მხარის მიმართ აღნიშნული ერთწლიანი ვადის გასვლის დროს, იმ პირობით, რომ დენონსაციის განმახორციელებელ ხელშემკვრელ მხარეს შეუძლია, აღნიშნული ერთწლიანი ვადის გასვლის შემდეგ, შეწყვიტოს ამ ხელშეკრულების გამოყენება ნებისმიერ რეგისტრაციასთან დაკავშირებით იმ თარიღიდან, როდესაც ეს რეგისტრაცია ექვემდებარება განახლებას.

მუხლი 33

ხელშეკრულების ენები; ხელმოწერა

(1) *[დედანი ტექსტები; ოფიციალური ტექსტები]*

(a) წინამდებარე ხელშეკრულებას ხელი მოეწერება ერთადერთ ეგზემპლარად ინგლისურ, არაბულ, ჩინურ, ფრანგულ, რუსულ და ესპანურ ენებზე, ამასთან ყველა ტექსტი ჩაითვლება თანაბრად ავთენტურად.

(b) ოფიციალური ტექსტი ენაზე, რომელიც არ არის მითითებული (a) ქვეპუნქტში და არის ხელშემკვრელი მხარის ოფიციალური ენა, დადგინდება გენერალური დირექტორის მიერ აღნიშნულ ხელშემკვრელ მხარესთან და ნებისმიერ სხვა დაინტერესებულ ხელშემკვრელ მხარესთან კონსულტაციების შემდეგ.

(2) *[ხელმოწერის ვადა]* ეს ხელშეკრულება ღია იქნება ხელმოსაწერად ორგანიზაციის შტაბ-ბინაში მისი მიღებიდან ერთი წლის განმავლობაში.

მუხლი 34

დეპოზიტარი

გენერალური დირექტორი არის ამ ხელშეკრულების დეპოზიტარი.



საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო
საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებათა
თანამშრომლობის განყოფილება

სარეგისტრაციო/REGISTRATION № 04/511-26

თარიღი/DATE 1.05.2026

დამტკიცებულია/CERTIFIED BY 

Ministry of Foreign Affairs of Georgia
TRANSLATION BUREAU
of International Agreements of Georgia